წალენჯიხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

სხდომის ოქმი N19

ქ.წალენჯიხა 29 სექტემბერი 2017 წელი

სხდომას თავმჯდომარეობდა საკრებულოს თავმჯდომარე თემურ ღვინჯილია

საკრებულოს 28 წევრიდან სხდომას ესწრებოდა 20 დეპუტატი: გონერ კვარაცხელია, ასმათ კვარაცხელია, დალი კვარაცხელია, ილია გუჯუა, ანზორ ფიფია, ვახტანგ ქუჩულორია, მერაბ კვარაცხელია, დავით ბელქანია, ლევან ფიფია, დარეჯან დადიანი, ნესტან გოგოხია, მარინა კალანდია, ნონა კვარაცხელია, ივერ კვარაცხელია ,ბორის კვარაცხელია, ცოტნე მესხია, დავით ფიფია, ლევან შელია, ბაჩუკი უბილავა.

სხდომას აგრეთვე ესწრებოდნენ: წალენჯიხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის და მუნიციპალიტეტის გამგეობის თანამშრომლები.

სხდომა დაიწყო: 12:00 სთ.
სხდომა დასრულდა: 12:55 სთ.

სხდომის თავმჯდომარემ თემურ ღვინჯილიამ სხდომა გახსნილად გამოაცხადა და საკრებულოს წევრებს გააცნო საკრებულოს სხდომის დღის წესრიგი.
საკრებულოს წევრებს წარმოდგენილი საკრებულოს სხდომის დღის წესრიგის პროექტის მიმართ შენიშვნა ან დამატება არ დაუფიქსირებიათ.

სხდომის თავმჯდომარემ ბ.ნ თ.ღვინჯილიამ კენჭი უყარა დღის წესრიგის პროექტს წარმოდგენილი სახით.(განკარგულება N 43).

კენჭისყრის შედეგი: მომხრე 20 დეპუტატი; წინააღმდეგი- არცერთი.

დღის წესრიგი:

1. „წალენჯიხის მუნიციპალიტეტის გამგეობის დებულების დამტკიცების შესახებ“ წალენჯიხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 29 ივლისის N15 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე.
   გამგებლის მიერ მომხსენებლად დანიშნული პირი: **ნანა კვარაცხელია,** მუნიციპალიტეტის გამგეობის ადმინისტრაციული სამსახურის იურიდიული განყოფილების უფროსი

2. წალენჯიხის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონების(სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთები) სახელმწიფოსთვის უსასყიდლოდ გადაცემის შესახებ.

   გამგებლის მიერ მომხსენებლად დანიშნული პირი: **თეიმურაზ მებონია,**
   მუნიციპალიტეტის გამგეობის ეკონომიკური განვითარების, სტატისტიკისა
   და ქონების მართვის სამსახურის უფროსის მოვალეობის შემსრულებელი

3. წალენჯიხის მუნიციპალიტეტის 100%-იანი წილით დაფუძნებული შპს „წალენჯიხის სპორტკომპლექსის“ ლიკვიდაციის პროცესის შეწყვეტის შესახებ გადაწყვეტილებაზე წალენჯიხის მუნიციპალიტეტისგამგებლისათვის თანხმობის მიცემის შესახებ.

გამგებლის მიერ მომხსენებლად დანიშნული პირი: **თეიმურაზ მებონია,**
მუნიციპალიტეტის გამგეობის ეკონომიკური განვითარების, სტატისტიკისა
და ქონების მართვის სამსახურის უფროსის მოვალეობის

4.სხვადასხვა.

ა) წალენჯიხის მუნიციპალიტეტის გამგებლის ბესიკ ფარცვანიას განცხადების თაობაზე.

მოისმინეს: 1. „წალენჯიხის მუნიციპალიტეტის გამგეობის დებულების დამტკიცების შესახებ“ წალენჯიხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 29 ივლისის N15 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე.

საკითხი წარმოადგინა მუნიციპალიტეტის გამგეობის ადმინისტრაციული სამსახურის იურიდიული განყოფილების უფროსმა ნანა კვარაცხელიამ.

საკითხთან დაკავშირებით საკრებულოს წევრებს განსხვავებული აზრი არ დაუფიქსირებიათ. სხდომის თავმჯდომარემ ბ–ნ თემურ ღვინჯილიამ მიზანშეწონილად ჩათვალა წარმოდგენილ დადგენილების პროექტზე კენჭისყრა.

ღია კენჭისყრაზე ერთხმად (მომხრე 20 დეპუტატი, წინააღმდეგი - არცერთი) მიღებულიქნა შესაბამისი დადგენილება (N 31) .

მოისმინეს: 2 . წალენჯიხის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონების(სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთები) სახელმწიფოსთვის უსასყიდლოდ გადაცემის შესახებ.

საკითხი წარმოადგინა მუნიციპალიტეტის გამგეობის ეკონომიკური განვითარების, სტატისტიკისა და ქონების მართვის სამსახურის უფროსის მოვალეობის შემსრულებელმა თეიმურაზ მებონიამ.

საკითხთან დაკავშირებით საკრებულოს წევრებს განსხვავებული აზრი არ დაუფიქსირებიათ. სხდომის თავმჯდომარემ ბ–ნ თემურ ღვინჯილიამ მიზანშეწონილად ჩათვალა წარმოდგენილ განკარგულების პროექტზე კენჭისყრა.

ღია კენჭისყრაზე ერთხმად (მომხრე 20 დეპუტატი, წინააღმდეგი - არცერთი) მიღებულიქნა შესაბამისი განკარგულება (N44) .

მოისმინეს 3. წალენჯიხის მუნიციპალიტეტის 100%-იანი წილით დაფუძნებული შპს „წალენჯიხის სპორტკომპლექსის“ ლიკვიდაციის პროცესის შეწყვეტის შესახებ გადაწყვეტილებაზე წალენჯიხის მუნიციპალიტეტისგამგებლისათვის თანხმობის მიცემის შესახებ.

საკითხი წარმოადგინა მუნიციპალიტეტის გამგეობის ეკონომიკური განვითარების, სტატისტიკისა და ქონების მართვის სამსახურის უფროსის მოვალეობის შემსრულებელმა თეიმურაზ მებონიამ.

საკითხთან დაკავშირებით საკრებულოს წევრებს განსხვავებული აზრი არ დაუფიქსირებიათ. სხდომის თავმჯდომარემ ბ–ნ თემურ ღვინჯილიამ მიზანშეწონილად ჩათვალა წარმოდგენილ განკარგულების პროექტზე კენჭისყრა.

ღია კენჭისყრაზე ერთხმად (მომხრე 20 დეპუტატი, წინააღმდეგი - არცერთი) მიღებულიქნა შესაბამისი განკარგულება (N45) .

მოისმინეს 4. სხვადასხვა.

ა) წალენჯიხის მუნიციპალიტეტის გამგებლის ბესიკ ფარცვანიას განცხადების თაობაზე.

საკრებულოს თავმჯდომარემ საკრებულოს წევრებს გააცნო გამგებლის ბესიკ ფარცვანიას განცხადება შვებულებაზე გასვლის თაობაზე .

აღნიშნული საკრებულოს მიერ მიღებულიქნა ცნობად.

ამით საკრებულოს სხდომამ მუშაობა დაასრულა.

სხდომის თავმჯდომარე: **თემურ ღვინჯილია**